ტესტურ დავალებათა ტიპური ნიმუშები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარების მსურველთათვის

საგამოცდო პროგრამა განკუთვნილია საბაზო განათლების მქონე მოსწავლეთათვის, რომლებიც აპირებენ 2015 წელს სწავლის გაგრძელებას პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებლებში და მისაღები გამოცდის ჩაბარებას სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. გამოცდა ამოწმებს მოსწავლეთა საბაზისო ცოდნას ხელოვნებაში.

კითხვები სრულ შესაბამისობაშია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ სტანდარტთან და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფირებულ VI-VII კლასების სახელმძღვანელოებში შეტანილ მასალას ეფუძნება.

კითხვები ითვალისწინებს როგორც ქართული ასევე მსოფლიო ხელოვნების ისტორიისა და სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების საბაზისო ცოდნას.

1. სურათზე წარმოდგენილი ტაძარია

ა. ბოლნისის სიონი
ბ. მცხეთის ჯვარი
გ. ანჩისხატი
დ.სვეტიცხოველი

სწორი პასუხი: დ)

2. რენესანსის ეპოქის მხატვარია :

ა. ვან გოგი
ბ. ლეონარდო და ვინჩი*
გ. პაბლო პიკასო
დ. ნიკო ფიროსმანაშვილი (ფიროსმანი)

სწორი პასუხი: ბ)

განმარტება -რენესანსი**, იგივე **აღორძინება** ფრანგული სიტყვაა და "ხელმეორედ დაბადებას" ნიშნავს. ეს ეპოქა მოსდევს ევროპულ შუა საუკუნეებს და მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები XIV—XVI საუკუნეებია, დაიწყო იტალიაში გვიან შუა საუკუნეებში და მოგვიანებით მთელ ევროპაში გავრცელდა. რენესანსის ეპოქა კულტურისა და მეცნიერების ყველა დარგის (ლიტერატურა, მხატვრობა, არქიტექურა, ქანდაკება და ა. შ.) ერთდროული აყვავების ხანაა. რენესანსის ეპოქის ერთ–ერთი გამორჩეული მხატვარია ლეონარდო და ვინჩი, რომელიც ერთდროულად მხატვარი, გამომგონებელი, არქიტექტორი და მეცნიერი იყო. მან უამრავი სიახლე შემოიტანა სახვით ხელოვნებაში.*

3. ფერწერული ტილოს „მეეზოვე“ ავტორია:

ა. ელენე ახვლედიანი
ბ. დავით კაკაბაძე
გ. ლადო გუდიაშვილი
დ.ნიკო ფიროსმანაშვილი (ფიროსმანი)*

სწორი პასუხი: დ)

*<u>*განმარტება</u>-მოცემული სურათის ავტორია ნიკო ფიროსმანაშვილი (ფიროსმანი) (1862-1918), რომელსაც პროფესიული განათლება არ მიუღია და სრულიად გამორჩეული, სხვებისგან განსხვავებული ხელწერა ქონდა. ფიროსმანის შემოქმედება თავისის დროის მსოფლიო სახვით ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს ეხმიანება. მისი სურათები საოცარი უშუალობით გამოირჩევა.*

4. ხელოვნების რომელ ჟანრს მიეკუთვნება ლეონარდო და ვინჩის მიერ შექმნილი ფერწერული სურათი?

ა. პეიზაჟი
ბ. პორტრეტი*
გ. ნატურმორტი
დ. ყოფითი ჟანრი

სწორი პასუხი: ბ)

*<u>*განმარტება-</u> პორტრეტი სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრია და ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ფიზიკური და სულიერი თავისებურებების გამოსახვას/ასახვას გულისხმობს.*

5.წარმოდგენილი ხელოვნების ნაწარმოებებიდან, რომელია დეკორატიულ - გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში

ა)

ბ) 

გ)

* დ)

სწორი პასუხი: გ)

*<u>*განმარტება</u>* *დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება ხელოვნების ერთ-ერთი დარგია, რომელიც აერთიანებს საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობებს: კერამიკულ , ფაიფურის და ყველა სახის ჭურჭელს, ავეჯს, ქსოვილებს, შრომის იარაღებს, მიმოსვლის საშუალებებს, ტანსაცმელს და დეკორატიულ აქსესუარებს.*

6. ჩამოთვლილთაგან რომელი *<u>არ არის</u>* შედგენილი ფერი?

ა. წითელი*
ბ. იასამნისფერი
გ. მწვანე
დ. ნარინჯისფერი

სწორი პასუხი: ა)

*<u>*განმარტება</u>* *ძირითადი ფერებია წითელი, ყვითელი და ლურჯი, რომელთა შერევითაც ვიღებთ შედგენილ ფერებს: ყვითლის და წითლის შერევით იქმნება ნარინჯისფერი, ყვითლისა და ლურჯის შერევით იქმნება მწვანე, წითლისა და ლურჯის შერევით იქმნება იასამნისფერი*

7. ძველ რომში გლადიატორთა ბრძოლების ცნობილი არენა იყო

ა. კოლოსეუმი*
ბ. ეპიდავროსის თეატრი
გ. დიონისეს თეატრი
დ. მარცელიუსის თეატრი

სწორი პასუხი: ა)

*<u>*განმარტება:</u>* კოლოსეუმი, რომელიც ფორმით რომაული თეატრის არქიტექტურულ ნაირსახეობას წარმოადგენს, გლატიატორთა ბრძოლებისათვის განკუთვნილი არენა იყო, ხოლო დანარჩენი ზემოთ ჩამოთვლილი თეატრების სცენაზე კი ანტიკური ხანის (ბერძნული და რომაული) თეატრალური წარმოდგენები იმართებოდა.

8. ხელოვნების რომელ დარგს მიეკუთვნება წარმოდგენილი ნიმუში

ა. ფოტოგრაფია
ბ. ფერწერა
გ. მოზაიკა
დ. გრაფიკა*

სწორი პასუხი: დ)

*<u>*განმარტება</u>* - გრაფიკა სახვითი ხელოვნების დარგია. *მხატვარი გრაფიკოსები უმთავრესად ქაღალდზე ხატავენ ნახშირით, კალმით, ტუშით, უბრალო ფანქრით, პასტელით, აკვარელით ან გუაშით. გრაფიკული ხელოვნების ძირითადი სახვითი საშუალება ხაზია. გრაფიკული ხელოვნების ნაირსახეობაა აგრეთვე ბეჭდვითი გრაფიკა - გრავიურა, ლითოგრაფია, მონოტიპია და ა. შ., როდესაც სხვადასხვა მყარ მასალაზე ამოკვეთილი ნახატი ფურცელზე ანაბეჭდის სახით გადააქვთ.*

8. ხელოვნების რომელი ჟანრის ნიმუშია წარმოდგენილი სურათზე?

ა. ნატურმორტი*
ბ. პეიზაჟი
გ. პორტრეტი
დ. ისტორიული ჟანრი

სწორი პასუხი: ა)

*<u>*განმარტება</u>* *ნატურმორტი სახვითი ხელოვნების ჟანრია. ნატურმორტი ძირითადად უსულო საგნებისაგან შემდგარ კომპოზიციას წარმოადგენს.ნატურმორტის ხელოვნება, როგორც ჟანრი გაჩნდა ჰოლანდიაში, XVII ს-ის დასაწყისში.*

9. რომელი არქიტექტურული ნაგებობაა წარმოდგენილი სურათზე?

ა. პანთეონი
ბ. ტაჯ-მაჰალი
გ. პართენონი
დ. ვილა როტონდა

სწორი პასუხი: გ)

10. დაასახელეთ მოცემული ფერწერული სურათის ავტორი

ა. მიქელანჯელო
ბ. რაფაელი
გ. ლეონარდო და ვინჩი
დ. ვან გოგი

სწორი პასუხი: დ)